ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების (გადასახადების) დინამიკა:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დაფინანსება წლების მიხედვით:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტების დაფინანსება წილობრივად:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება, რომლთა ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის, ასევე შიდა სასაოფლო და საუბნო გზების 14 მიმართულებას ჯამში 35,8 კმ. მათ შორის ამავე გზებზე განხორციელდა 2,3 კმ სანიაღვრე არხების მოწყობა.
- განხორციელდა 4 დასახლებულ პუნქტში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნული სისტემა ემსახურება 2860 აბონენტს მათ შორის მიმდინარე წელს დაემატა 246 აბონენტი.
- განხორციელდა გარეგანათების ახალი 700 წერტის მოწყობა, სულ 13700 წერტი; ქალაქისა და ადმინისტარციული ცენტრების 80%.
- ნაწილობრივ დასრულდა და მიმდინარეობს 4 სკვერისა და პარკის რეაბილიტაცია.
- 16 მისამართზე მიმდინარე წელს დაიწყო და მიმდინარეობს მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 74 დასახლებულ ერთეულში განხორციელდა მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი პროექტების დაფინანსება.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში:

- ყოველდღიურად ხორციელდება 29 ქუჩის, 4 მოედანის, 4 პარკისა და 4 სკვერის დაგვა დასუფთავება.
- ქ. ოზურგეთში დამატებით განთავსდა 35 ცალი ურნა.

განათლების პრიორიტეტის ფარგლებში:

- მუნიციპალიტეტის 44 სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებაში შესაბამისი სერვისი მიიღო 2106 აღსაზრდელმა.
- განხორციელდა 24 საბავშვო ბაღის მიმდინარე რემონტი.
- სოფელ შრომაში (ვაკე) დაიწყო საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- არაფორმალური განათლების და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 86 ბენეფიციარმა.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში:

- დაიწყო საჩოგბურთო ცენტრის მშენებლობა.
- ბიუჯეტით გათვალისწინებული სპორტულ და ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში შესაბამისი მომსახურებით ისარგებლა 3304 ბენეფიციარმა.
- Street Art ფარგლებში 7 მისამართზე გრაფიკული ნახატებით მოიხატა მრავალბინიანი კორპუსის ფასადები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით ისარგებლა 2771 ბენეფიციარმა;

- სოციალური დახმარება მიიღო 1828 ბენეფიციარმა.